

აკლია — უკლია ფორმათა დიფერენციაციისათვის

თანამედროვე ქართულში ხშირად მონაცვლეობს ორი ფორმა: აკლია და უკლია. მაგ.: ცხრას ათი წუთი აკლია | ცხრას ათი წუთი უკლია.

სალიტერატურო ენაში პარალელურ ფორმათა არსებობა არ არის სასურველი, ენის დახვეწილობა მოითხოვს მონაცვლე ფორმათაგან გრამატიკულად უფრო სწორის, მეტად გავრცელებულის, სალიტერატურო ენის ისტორიითა და თანამედროვე ენაში არსებული ტენდენციით შემაგრებულ ფორმის შერჩევას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში დგას საკითხი, რომელია უფრო მართებული სალიტერატურო ენის თვალსაზრისით — აკლია თუ უკლია? რა სურათს გვიჩვენებს სალიტერატურო ენის ისტორია? როგორი ტენდენცია შეინიშნება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში?

აკლია ქეგლ-ის განმარტებით ნიშნავს: „საკირო რაოდენობით არა აქვს (არა ჰყავს); იმდენი არ არის, რამდენიც უნდა იყოს“. აქვს განხვავებული სემანტიკური ნიშანსებიც, ფიგურალური გამოთქმებიც... ის სტატიკური ზმნაა. ძირია კლ (<კელ), აწმყოს ფუძე — კლ-ი; ზმნისწინებს არ ირთავს. თვსართებიდან კი შეიძლება დაირთოს ა- (ა-კლ-ია), ი-/უ- (მ-ი-კლია, უ-კლია). აკლია ზმნას შეუძლია აწარმოოს მხოლოდ აწმყოს წრის ნწკრივები (ა-კლ-ი-ა, ა-კლ-დ-ა, ა-კლ-დ-ე-ს), დანარჩენის შესავსებად იყენებს ვნებითის ფორმებს (და-ა-კლ-დ-ე-ბ-ა, და-ა-კლ-დ-ე-ბ-ოდ-ა, და-ა-კლ-დ-ე-ბ-ოდ-ე-ს...); აწმყოს მწკრივის ფორმებს მეშველი ზმნით აწარმოებს (გ-ა-კლ-ი-ვარ, ა-კლ-ი-ხარ). რაც შეეხება III პირის ნიშანს აკლ-ი-ა ფორმაში, მის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს: ა. შანიძეს მიაჩნია, რომ ის III სუბიექტური პირის მრავლობითის -ან ნიშნის ნაშთია და არა მეშველი ზმნისა¹. ამ აზრს რიგი მკვლევარი არ იზიარებს და ა-ს S₃ მხოლოდობითი რიცხვის ნიშნად მიიჩნევს; იხმარება ობიექტური წყობის ფორმებიც: მ-ა-კლ-ი-ხარ, გ-ა-კლ-ი-ვარ მ-ა-კლ-ი-ა,

¹ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. I, თბ., 1973, გვ. 456.

გ-აკლ-ი-ა, ა-კლ-ი-ა,... პარალელურად იხმარება სსობიექტო ქვევის ფორმებიც: მ-აკლ-ი-ა, გ-ი-კლ-ი-ა, უ-კლ-ი-ა.

ძველ ქართულ ძეგლებში აკლია იხმარება აკლ-ს ფორმით. დასტურდება აწმყოს შემდეგი ფორმები: მ-აკლ-ს, გუ-აკლ-ს; გ-აკლ-ს, ა-კლ-ს. გვხვდება ხოლმეობითის ფორმები -ს//ან პირის ნიშნებით: ა-კლ-ს, ა-კლ-ან, ა-კლ-ს-ს. XII ს-მდე ეს ასეა: „ვეფხისტყაოსანში“ კი უკვე გვანგა აკლია.

ილუსტრაციები:

ბიბლია:

მაუწყე მე ...რიცხვ დღეთა ჩჴთა რჴოდენ არს რა უწყითი რაჲდა მკლს მე (ფსალმ. 38,4). დაღით რჴმე გაკლდეს შნ ჩჴდა იუენ (მსაქ. 19,19). ვითარცა მონას ზედას-ზედა განიციხებედ და გუემა არა აკლნ (ისაქ. O-332r, 22). ნუ შეაწუხებთ, რომელთა იგი აკლდეს (ნეემ. O-468, 126). ესე ხოლო აკლდა (ექუს. დღ. A-73, 83, 17). რომელ იგი აკლნ ძალსა კირხიბისასა, განსრულეს იგი (ექუს. დღ. A-73, 99, 27).

ოთხთავი:

რაჲდა მაკლს მე (მ. 19, 20). ერთიჲა გაკლს შენ (მრ. 10, 21). მათ თქუეს არაჲა გუაკლდა (ლ. 22, 25). ოდეს იგი წარგავლინენ... ნუ გაკლდა რაჲ თქუენ (ლ. 22, 35).

V ს.

ხოლო უკეთუ ვისმე აკლდეს აწ თქუმულთა ამით სიმაჩუეთაგანი რამეჲ, ნაკულუევანება იგი მიზეზ ეკმების (იბერ. 19, 27. ხელნაწ. XI ს-ისა).

VII—VIII სს.

კომენი:

დიდა მამასა ჩუენსა საბას ურად გულსა აკლდა (II, 170, 3). ჰრომთა მთავარებისკობოსსა გულსა აკლდა (II, 179, 3). ხოლო რომელსა აკლდა წყალსა და ყოველნი ლაკუანი მათნი აღივანეს (II, 197, 34).

IX ს.

სინური მრავალთავი (364 წ.):

აკლს პატივი სიმაჩლესა მის დარჩილთასა (43, 4). სასურველი იგი მოიედა სურვიელთა თანა და მათ თანა მოსურნედ იგი აკლდა (171, 14). საღუაწი ვორცთა მათთამცა არა აკლდა (153, 23). ესე ხოლო აკლდა გარნა ზოროტისაჲ მის დაქსნაჲ (42, 29).

X ს.

რაჲცა აკლდა მის მიერ შენებულსა მის მონასტერსა (ცხ. სერაპ. ზარზმ. 174, 21). ცხორებასა აჴს წუთსა არაჲ გაკლდა ვორციელად და სულიერად (გრ.

2 ვისარგებლეთ საქ. მეცნ. აკად. შ. რუსთაველის საზ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტთან არსებული „ვეფხისტყაოსნის“ აკად. ტექსტის დამდგენი კომისიის ფუნდებით.

ხანძ. ცხ. 29, 26). ხოლო აწ გუ აკლს-ლა ესე, რაათა ვიქეთთ თუ ვითარ იყვენს ვალობანი იგი (Ath-32, 305, v, 11). და ირმეოცდა ხუთნი იყვენს და ერთი აკლს (A-95, 977, 14). აკლს უკუე, რაათა იყის პირველ მიმცემელი (პეტრიწი, I, 46, 30). აკლს ვინავე, რაათა ეგოს ყოველივე შორის მიზეზსა თესსა (პეტრიწი, I, 28, 13). აკლდა მთ ერთი წთავანი (A-95, 977a, 11). სრული ვ ყოს, უკთუ აკლ დეს რაა სრულებად (S-1696; 2646, 18). შეუნიერებასა მის ხატეზასაა უკუეთუ აკლ დეს რაამე, არა არს იგი ხატ (კაც. ავ. 180, 27). ოწ მწყსოს მე და არაა მაკლ-დეს აღვილსა მწუანელსა (A-95, 451, 26). გვრგვსა მას თუ აკლწ ერთი ანთარავ-თავანი, გინა მარგალიტი, იგი თავსა მეფისასა არა ბრწყინაენ (ეფრემ. ას. Sin-97, 13, 25). თუ აკლწ მას ერთი ასთავანი, გინა სიტყუაა ერთი, უკმარ არს წიგნი იგი (ეფრ. ასურ. Sin-97, 13, 35). ქარაღისა ქუეყანაა დიდად ნაკლულევან არს წიგნთავან და მრავალნი წიგნი აკლან (ებ. იოვ. და ეფფ. 23, 18). ესეზომ მოა-კლვს გარდამეტებულსა მას, რაზომ იგი უადრესი აკლწ (ბას. 103, 2). რომ-ლისა-თესცა აკლს მოქმედსა ამისსა და მუშავსა კაცსა (ბუნ. კაც. 152, 18).

XI ს.

ტფილისის ეკლესია სიონი განესრულა, ხოლო ჭუარისა ეკლესიასა აკლდა (სუმბ. დავ. 375, 16). ოწ, მასწავე მე თუ რაათა მაკლს (A-1105, 438v, 30). გა-კლს სისრულე დღეთა (ჭუანწ. 149, 8). ტრაპეზი იგი საკურთხევისსა დაამყარონ რა არა რაა აკლ დეს (S-143, 1492, 13). და იყო მამა, აკლს დამხადებელი (A-63, 122, 12). არაენ გუ აკლს თენიერ რღლისა უმცირავს საჯედარი (A-1105, 450v, 3h). მთუწყე მე, ოწ, თუ რაათა მაკლს (A-1105, 3612, 11r). ხწ მაკლს ჩწ რწმუნებად მადლსა ღისასა (A-1103, 1262, 88). ერთილა თუ რაამე აკლ-დეს საჭირთავანი ვენავსა მას, უკმარ უკმნისე იგი მომგებელისა მისისა (A-132, 18v). უკუეთუ ველნი დამკუეთიან, არა გულს აკლწ (Ath-21, 67r, 22).

XI—XII სს.

რომლისა-თესცა აკლს მოქმედსა ამისსა და მუშავსა კაცსა (ბუნ. კაც. 152, 18). რაათა არა აკლ დეს აგებულსა ყოველთა მიმცდომთა ქმნულებაა (ბუნ. კაც. 21, 14).

XII ს.

„ვეფხისტყაოსანი“:

მაკლია ღმრთისა წყალობა (374, 4). თუცა ჭირი არ გაკლია (273, 3). აკლია მიჯნუთ ზნეობა (23, 4). ვა, თქრო მისთა მოყვასთა არიდეს მისცემს ლხენასა... ..შესდის და გასდის, აკლია, ემღურვის ეტლთა რბენასა (1197, 3). ვისგან შექი არ გვაკლია (508, 3). ვისთვის ჭირი არ გვაკლია (638, 2). ტყვე-თა მრთელთაცა არ აკლდა კენესა, მართ ვითა სნეულთა (452, 4).

როგორც ვხედავთ, „ვეფხისტყაოსანში“ აკლს ზმნა -ია დაბოლო-ებით იხმარება. მაგრამ საეკლესიო ძეგლებში გვიან საუკუნეებამდე შენარჩუნებულია ძველი ფორმა. XII ს-ის სასულიერო ძეგლებში მოგვიხსენება მხოლოდ ნამყო უწყვეტლისა და კავშირებითის ფორმათა დადასტურება, სადაც აკლია, აკლს ფორმები გათანაბრებულია. მაგ.:

გარნა არავე აკლდა წეშა ყვსა ესე (A-65, 72r, 4). უკეთეს ერთი ბნ^ა არს ქსე და ესე სღ^ა ვ^რ აკლდა კერძად მისი რეს მდებარე იყო საფლავსა შინა მკდ^რდ (A-65, 81r, 24). წარბთა რ^ლ თმაჲ აკლდეს (A-65, 183r, 14).

-იეს დაბოლოების **-ია**-თი შეცვლა I თურმეობითში უფრო აღ-
რინდელ ძეგლში — „სინურ მრავალთავში“ (864 წ.) — აქვს შენიშ-
ნული ივ. იმნაიშვილის (გიპყრია, 70,7 გიყოფია, 129,3)³. გარდამავალი
შემნების I თურმეობითში კი, ზ. სარჯველაძის ცნობით, **-ია** დაბო-
ლოება „პემეტ ტექსტებშიც დასტურდება“⁴; იგივე ივ. იმნაიშვილი
გვაუწყებს, რომ ძველ ქართულ ხელნაწერებში რომლებიც „იოვანეს
გამოცხადებასა“ და მის „თარგმანებას“ შეიცავს (X—XI სს.). **-იეს**
და **-ია** თანაბრად დასტურდება⁵. XI ს-იდან **-ია** დაბოლოება ხშირ-
დება.

აკლ-ს, ს-ცალ-ს, ა-ჩნ-ს, ს-ჯობ-ს ზმნები **-ს** დაბოლოებიდან **-ია**-
ზე გადავიდნენ (**-იეს** დაბოლოება მათთვის უცხოა). და ეს პროცესი
ლიტერატურის ენაში უნდა მოხდარიყო X—XI—XII საუკუნეებ-
ში, როდესაც ძლიერდება სალიტერატურო ენაზე ცოცხალი ხალხუ-
რი მეტყველების გავლენა. ბუნებრივია, ის საერო ხასიათის მწერ-
ლობაში ფართოდ ვრცელდება.

XIII ს.

ყ^{თა} მოწყობილობითა მოვაწყვე პსრე, რომელ არათა თნ^აე არარაჲ აკლდა
(A-1563, XIII ს-ის ანდრ. გაბრიელ ლაბუქინელი, 78, 7).

XIII—XIV სს. ხელნაწ.

და იღუწიდა მამად მისი, რაჲთა არა აკლდეს წუთთილება სიბრძნისაჲ და
სწაიღულებსაჲ, რომელი ჯერ არს მეფეთათვის (ბალავ. 18, 24).

XV—XVI სს.

„შაჰნამე“:

სხვათ ზვერი აკლდა ამ წიგნსა (103, 1). იოტის წონა არ აკლდა (III,
576, 37). აღარავან აკლდა სპა-ჯარისაგან (II, 421, 29). ოცდაათი ათასი თურა-
ნელთ აკლდა ჯარია (5287, 2). და არა გონიარობა აკლდა (II, 398, 13).

„ლეილმაჯნუნიანი“:

არვინ აკლდა (207).

წლისა კგ-ისასა ორი თჳს აკლდა (საჰხ. საქ. ისტ. მს., 40,4).

³ ივ. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი, გამოკვლევა და ლექსიკონი, თბ., 1975, გვ. 96.

⁴ ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავა-
ლი, თბ., 1984, გვ. 415.

⁵ ივ. იმნაიშვილი, იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება; თსუ ძვ.
ქართ. ენის კათედრის შრ., 7, 1961, გვ. 135.

XVI—XVII სს.

„ვეფხისტყაოსნის“ ჩანართები:

არა გაკლდეს, დიდებასა ხელი ცათა შეუცდომლად (483, 3). ეტყვი: „რა მაკლდა სახლსა ჩემსა?“ (202, 8). აღლუმი ენახეთ, არ აკლდა იგ ლაშქარნი უთვალავნი (492, 1). ესე ამბავი ნარჩომი მათ ლომთა შორჭმით: მკონეთა, გაღეჟსვა აკლდა ბერაზნთა მეტად ვერ ნოვიგანეთა (339, 2).

XVII ს.

არა აკლდა რა მუნ მსდომთა შეგნების ნატამალია (არჩ. I. 102, 4). ცოტა-და აკლდა ჩვენსა რაზნსა დიდის გაჭირებისაგან (არჩ. 869). ყოელის ლაჩვრითა დამკოდე, ერთი გაკლია ბარჯი-ლა (არჩ. 1138, 3). სიზმარში მისგან ნახულსა არც აკლდა, არცა მეტობდა (თეიმ. I. 84, 12). ბასრისა ქალაქს არ აკლდა შიგნით ძრწოლა და შენობა („ამ. დარ.“ თან. 1321, 19). რა სიძისა დღისა სავალი აკლდა სრას მისვლამდისი, მისრი გაგზავნა ხელმწიფემან („რუსულ.“ 87, 13). მისრისთან ზავსაც აკლდა სისრულე და შეენება („რუსულ.“ 112, 21). ცოტა რამე აკლდა გათავებსა („რუსულ.“ 319, 26).

„რუსულდანიანში“ ხშირად გვხვდება არა აკლდა რა(მე). მაგ.:

მან ყოველი კეთილად იცოდა და არა აკლდა რა (11, 1). არა თვალი არა აკლდა რა (495, 3). არაფერი სულნელი არა აკლდა რა (455, 2). არც ხილი და არც ყვავილი არა აკლდა რა (225, 17). არა ზნეობა და მოწიფულობა არა აკლდა რა, რომ არ იტოვდა სიმღერისა, სეკრავისა, ხუმრობისა, ზმისა არა აკლდა რა (257, 14; 164, 17). გოვღისა სიმამაცისა ზნით ისე აიგოს, რომ არა ნივით არა აკლდა რამე (265, 6). მესამე მხარეს სულ ხილი იდუა ყოველი ფერი, ნედლი თუ ხმელი, რომ არა აკლდა რამ (451, 39).

XVII—XVIII სს.

თუ აე-ველი იყოს და ან აკლდეს, ნუ ვინ დამწვევთ ღს მიდლსა (A-1582 ანდ. [გადამწერი იესე ასათიანი], 115, 2).

XVIII ს.

„გოდორს თაგი აკლიაო“. ცხრის ურმისა ზარში ჰყრიდენ (დ. გურამ). ახლა მაშინდელზე ქართველს ბატონს ჰევრი იღვილი აკლია (ვახტ. სამართ. 487, 27). შენ რომ სამართლის წიგნი მოგეცით, იმაში ერთი სიტყვა აკლია (მელ. წიგ. 140). შესს აქლემს ცალ მხარეს კბილი აკლიაო (მელ. წიგ. 13, 14). დედანში არ ეწერა, აკლდა (Q-92, 106, 35. XVIII ს-ის მინაწერი). არ აკლდათ სვეტი ღრუბლისა, ვერე ზეტრთ განერებოდეს (თეიმ. II, 129, 4). ნახა, რომ ოცდაოთხი შვილი აკლდა („ყარამ.“ 318, 22). ქალაქს გაღესვა აკლდა (S-1324, 15, 19. მინაწ. XVIII ს.). იმის სწავლას სისწორე აკლია (S-152, ანდრ. 1735 წ. [შთარგმ.] 179, 18). რომელნიცა აკლდენ ენასა ჩნსა (Q-329, ანდრ. 347, 19). ამას წიგნაა ბოლოს თახი მუხლი აკლს (S-1350, ანდრ. 160, 39). დაღათუ მრავალნი აკლნენ ცოდვათა ჩწნთათვის (Q-881, შენ. 291, 14). რომელნიცა აკლნენ, პოებულ არაიდ იგინი წსა ქალაქსა (Q-881, შენ. 291, 15).

საბასთან გვხვდება ძველი ქართულისათვის ჩვეული აკლს ფორმა. ეს არაა გასაკვირი, თუ გავიხსენებთ საბას პოზიციას და როლს

ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიაში. ცნობილია, რომ მე-
თვრამეტე ს-ის სალიტერატურო ენა აღმოსავლური ლექსიკით, ხე-
ლოვნური ფორმებითა და დიალექტიზმებით იყო დატვირთული. დია-
ლექტიზმების მომრავლება სალიტერატურო ენის გახალსებების
პროცესის ბუნებრივი წედეგი იყო, მაგრამ ამ პროცესმა უკვე ზღვარს
მიაღწია, საფრთხე შეექმნა სალიტერატურო ენის მონოლითურობას.
აუცილებელი გახდა სალიტერატურო ენა დახვეწილიყო, განთავი-
სუფლებულიყო ხელოვნური ფორმებისაგან, დიალექტიზმებისაგან...
შემუშავებოდა მას ერთიანი მტკიცე ნორმები. ეს მისია სულხან-საბა
ორბელიანს არგუნა ბედმა. საბამ დაძლია დიალექტიზმებიცა და ხე-
ლოვნურობაც და ქართულ სალიტერატურო ენას კვლავ დაუბრუნა
ბრწყინვალება. იგი საამისოდ არქიზაციასაც მომართავდა. არქიზმები
საბას სტილებრივი ხერხი კი არ იყო, არამედ სალიტერატურო ენასა
და დიალექტებს შორის სხვაობის გახაზვის საშუალება, ერთგვარი ხერ-
ხი სალიტერატურო ენის უნიფიკაციისათვის⁶.

სხვა არქაულ ფორმებთან ერთად საბა იყენებს აკლს ფორმა-
საც. მაგ.:

გლახაკთა და უღონოთა შიან, ანუ სხვათა ვისმე საჰმელი აკლს? (I. 30. 21).
უკეთუ აკლს ერთიცა, არა არს ზიარება იგი (III, 42, 16). სნეულებათა მიერ
თვალი აკლს (III, 95, 32). და არა თუ აკლს რაიმე და მუნ შეიძენს ოქროსა
(III, 205, 10). შვებათა ამით საიდუმლოთა აკლს ერთი (III).

XIX ს.

XIX ს-ში არქაული აკლს ფორმა უსმარიათ იოანე ბატონიშვილსა
და ალ. ქავჭავაძეს:

სად არს ერთი იგი, რომელიცა აკლს ამით? (ი. ბატონ.). თუ რაიმე გ აკლ ნ,
მე გაგიმართავ მათ (ი. ბატონ.). არა თუ მახუჯა, მცირე აკლ და, რომ არ დამიხია
(ი. ბატონ.). უკეთუ არა სამთა მგალობელთაგანი აკლიან რომელნიმე (ი. ბატონ.).
სვესა შენსა რაღამე აკლს (ალ. ქავჭ.).

სხვა ავტორებთან, როგორც მოსალოდნელიც იყო, აკლია გვხვდებო:

აკლია ახლა რაიმე წყალობა, სსოგბა და ნუგეში (მლ. იოს.). [გარეჯას]
მოდუაწენი ღირსნი არ აკლ და, არცა მწიგნობარნი (მლ. იოს.). მე არ მაკლ და
განათლება (გრ. თრბ.). ქართველს მიღციას შენ და სარაგოვი აკლ დით (გრ.
თრბ.). ახლა გეაკლია მხოლოდ მათი დახურვა (გრ. თრბ.). ჯარები სულ ნზათ
არის, ცოტაოდენი სუჯარი აკლიათ (გრ. თრბ.). ამდენს ჩვენის თავის ვაი-
ვაგლახს ეს-ლა გეაკლ და (გრ. თრბ.). ქალაქი ისევ ჩქარა აშენდა, თუმცა აღ-
რინდელს მრავალი აკლ და (ნ. ბარათ.). შეკრბენ ყაზახნი და ნახეს, აკლ და
ყაზახი ერთი (ნ. ბარათ.). ეს აკლ და იმის ფილოსოფიურს სახეს! (მ. ბარათ.)

⁶ ივ. გიგინეიშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის: საიუბილეო
კრებული, თბუ, 1959, გვ. 31.

ბალაშოვის სიკვდილს ისე გლოვობენ, რომ ეს არის. შავები არ აცვიან, თორემ სხვა აღარა აკლიათ რა (ნ. ბარათ.). თუმცა ბევრი რამ მე აქ მაკლია (ილია). საზრდოც არ მაკლია (ვაჟა), ყმაწვილი ღარი და წინდახედულება გაკლია (აქაი). ოპ, რამდენი გამოცდილება მაკლია ჯერ კიდევ მე, სიცოდავს! (ვაჟა). [ნამუშევარს] მართალია, ნაცადი ზელის... შალაშინი აკლდა (აქაი). იმათ ორივეს გვრიტო აკლდათ თვალში (ვ. წერეთ.). ერთი ერთმანეთზედ გული აკლდათ (აქაი). თვალს მაკლია და ამ ბნელაში გზას ვერ ვიგნებ (ე. ნინოშ.).

XX ს.

ხუთს ოცი წუთი აკლია და სადაა აქამდე! (ა. ბელ.). ერთი კბილიც არ აკლდა [გიორგის] ჯვრაც (ვ. ვანს.). პაპაჩენს... ჩანი არ აკლდა (რ. ინან.). კათხა ორი თითონ დადგა აკლდა (ვ. ჭეიშ.). თანამის დაწყებას ნახევარი საათი აკლდა (ო. ჭილა.). ო, როგორი გახარებული ვიყავით და როგორ გვაკლდა ამ დღეს მამაჩენი (ვ. ვან.). ჩამო, ხომ იცო, როგორ მაკლიხარ (ნ. გელაშ.). [თავხუნას] რაღაც ხმა კი აკლდა (რ. ინან.). აქაურობას კენჭიც არ აკლია (ე. ზეკურ.). არაფერი არ მაკლია (რ. ჭეიშ.). ცოტა ვშმაკობა აკლია (ვ. მემღ.). მეფობა არ მყოფნის, კიდევ რაღაც მაკლიათ (ო. ჭილა.). გუჟს ციკვის დაწყებამდე ცოტა-და აკლდა (რ. მიშე.). მზე საშუადღეობზე ვერ იყო ამოწვეარილი, მაგამ ბევრიც აღარ აკლდა (ვ. ზეკურ.). კანათს აკლდა სიმძაფრე („ლიტ. საქ.“). [სანდრა] ცოტა სისხარტე აკლდა (თ. ბუაჩ.). ოღბოთ დაკვირვებულობა მაკლია („ლიტ. საქ.“). გეყავს ისეთი მასწავლებლებიც, რომელთაც განათლება აკლიათ („ლიტ. საქ.“). აღზეება აკლია ვანა ათხუთმეტი წლის ტაბუკს კონსტანტინეს? (ვ. ვანს.). ბევრ ზმნას ეს ფორმები აკლია (ა. შანიძე).

ფიგურალურ გამოთქმებში:

ღვღამერს ყურს აკლდა (რ. ჯაფ.), ყურს არ მაკლია, სუ მიყვირი (ვ. ჩარკვ.) მოხუცებს ეტყობოდათ, რომ ყურს აკლდათ („ლიტ. საქ.“). ზაქრო პაპა ხალხს ეუბნებოდა... ის არ შეყოფა, ყურთ მაკლია (თ. ბიბილ.). გულს გვაკლია, რომ მას წინ არ უძღვის აქართული ფილმის ემბლენა („ლიტ. საქ.“). შენ ვულს გაკლია; ცოტა ივალობით („ლიტ. საქ.“). მხოლოდ ის აკლდა ვულს (ს. ქეთელ.). ძალიან მაკლია ვულს, რომ შენ ხელისწულობაზე ვლალატობ უწონლობით („ციცკ.“). თვალში აკლდათ მოხდენილი ბიჭი გოგოებს (გ. დოჩან.). მთელი ეს ზაფხული თვალში გვაკლდა! (ვ. კობ.). ამ ბოლო დროს იმერელი გოგო-ბიჭები ძალიან თვალში გვაკლია (რ. ჯაფ.). ელიაც გვაკლია თვალში (თ. ბიბილ.). ვერ ვავისხენე... მწყერჩიტა როდის აქეთ გვაკლია თვალში („ლიტ. საქ.“). იროდის თვალეში სინათლე აკლდა (ნ. წულ.). [ქმეპა] აივანზე გაშლილი სუფრა დაინაწეს, ჩიტის რძე რომ არ აკლდა, ისეთი (თ. ლანჩ.). თურმე ფერ-ხორცი რომ მაკლია, ესეც საოცრად მშვენის (ვ. კობ.). შოდრად მუშაობდა. სსმელი არ აკლდა და საჭმელი (ვ. მას.). გროზნას პური არ აკლდა და წყალი (ლ. მრგლ.). ჩვენი წინაპრები ქალის ვასპანჩად რომ მიჰყებოდნენ მაქანკალს, ჯერ... ეზოს გადაავლებდნენ თვალს, ზელი თუ არ აკლდა („ციცკ.“).

აკლია გვხვდება მყარ გამოხატუებებში: ეგლა მაკლია, შენღა მაკლიხარ...:

შენ მაკლიხარ ასლა! (ნ. დუმბ.). იბლა მაკლდა სწორედ (თ. ლანჩ.). ეგლა მაკლია შენეხეწო კიდევ (რ. ინან.). ამ გამწარებულ გუნებაზე მეჭლანის

ღრიალი-და შაკლდა (კ. ამირეჯ.). შუნი ტირილი გვაკლია სწორედ! (რ. ჭავჭავაძე).
ახლა ქართლ-კახეთის მეფეების მომდერება შაკლია სწორედ (რ. ჭავჭავაძე).

არ მოვერიდეთ ილუსტრაციების უხვად წიყყინას, რათა კარგად გამოჩენილიყო, რამდენად უფრო ხშირად იხმარება აკლია ფორმა უკლიას-თან შედარებით. დაემატებთ ორიოდ ანდაზას, რადგან ანდაზების, როგორც საერთო-ახალბო ენის, საუკეთესო ნიმუშების ჩვენება, ეფექტობთ, საინტერესოა — ანდაზა აკლია ფორმას იყენებს:

მიზეზ-მიზეზ, დოს მარლი აკლია; ყველაზე მეტად თვალს ვის აკლიათ და—
ვიც თავს იქვსო; ერთი აკლდა რვათა და მიუმატეს ცხრასო.

ამრიგად, სალიტერატურო ენის ისტორია აკლია ფორმის ხმარებას უჭერს მხარს. უკლია უფრო ახალი და ნაკლებ გავრცელებული ფორმა ჩანს. აკლია ფორმის ასე უხვად ხმარების ფონზე იგი ღირბად გამოიყურება, გვხვდება მხოლოდ XVIII საუკუნიდან.

მაგალითები:

არჩილი:

სულა სპარსეთის მეფობას უკლდა-ლა ისპანია (I, 72,1).

თეიმურაზ I:

ცოტა უკლია მართლსა (213, 4). ცოტა უკლია საწყალსა მას სული აღმოჰქრა ვითა (42, 3). ცოტა უკლია ზემოთის მზე სწრაფით ჩასვლასა წვერობდა (92, 2).

„რუსუდანიანი“:

ორი დღე-ლა უკლდა, თავად შიში მოჰკლევდა (188, 25).

ქვეყნის ნახეარი კი არა და ჩვენ ასე ვიტყვით... მესამედს ცოტა-ლა უკლია (520).

XVIII ს.

თეიმურაზ II:

ღრამის შესაწონი აღარა უკლდა რა (151, 36).

„შვიდი მთიები“:

მე ორმოცა ერთი ნიკლდა, ესოდენნი ლხინნი ვნახე (ნ. ციცი, 1555,1).

„ყარაშანიანი“:

მეორე-ლა უკლდა ბორცთაგან სულის გაყრასა (215,6). სასაზღვრე ესრეთ შესძრა, რომ დაქცევას მცირე უკლდა (224, 20). მცირე უკლდა, რომ უშანგის ლაშქარი არ დამარცხდა (267, 24). შიშით ვულის ვახეთქას მცირე-ლა უკლდა (350, 17). ვადას ჩვიდნეტი დღე უკლდა (209, 1).

ქართ. სამართლ. ძეგლ.:

კაცს ვყიდულოფ და თეთრი შიკლიათ (V, 123, 15). თქვენი ვენაჳის მუშაობა ცოტა კიდე შიკლია (VIII, 634, 22).

XIX ს.

გრ. ორბელიანი:

შენი მათრობა ძალიან მიამა, ორი ნაბიჯი-ღა გიკლია ჩემამდის (წერ. I, 127, 15). ვატყობ, რომ ცოტა-ღა მიკლია სრულიად ვაყმაწვილებასა (წერ. II, 166, 21). ასე რომ ცოტადს უკლდა კენწერობედ ეყოდა შარშანდელი აშლა მთლად ხალხისა (წერ. I, 108, 20).

რას წარმოადგენს აკლია — უკლია ფორმები გრამატიკული თვალსაზრისით?

ა. შანიძე აკლია ზმნას მედიოპასივში მოაქცევს და მიაჩნია, რომ, რადგან მედიოპასივი და სტატიკური ზმნა ფუნქციურად ახლოსაა ერთმანეთთან, მათ ადვილად მიიღეს ერთმანეთის დაბოლოება: სტატიკურმა -ავ (კიდია — ჰკიდ-ავ), მედიოპასივმა -ია (სჯობ-ს — სჯობ-ია). აკლს ზმნამაც სტატიკურობის -ია დაბოლოება მიიღო. ე. ი. აკლია იმ ზმნათა ჯგუფს მიეკუთვნება, რომელნიც ერთი წარმოებიდან მეორეზე გადავიდნენ: საშუალი გვარისა იყვნენ და აწმყოში სტატიკურის დაბოლოება მიიღეს. ეს ზმნებია: ა-ჩნ-ს — ა-ჩნ-ია, ს-ჯობ-ს — ს-ჯობ-ია, მ-წყურ-ი-ს — მ-წყურ-ია, მ-ში-ი-ს — მშ-ი-ა, მ-ი-ხარ-ი-ს — მ-ი-ხარ-ია, ა-კლ-ს — ა-კლ-ია, ს-ცალ-ს — ს-ცალ-ია...⁷

ა. შანიძის ეს მოსაზრება, ბუნებრივია, ემყარება მის თვალსაზრისს სტატიკური და საშუალი ზმნების შესახებ. სტატიკურობა მიჩნეულია გვარის კატეგორიის ერთ-ერთ სახეობად: გამოყოფს რა სამ გვარს (მოქმედებითს, ვნებითსა და საწუალს), ვნებითში მოაქცევს „სტატიკურ ზმნებს“ (ხატია, უკიდია) და „დინამიკურ ვნებითებს“ (ინატება, ეკიდება), საშუალში კი — „მედიოაქტიურსა“ (დულს, ბოლავს) და „მედიოპასიურს“ (ღვას, წევს)⁸.

ცნობილია განსხვავებული შეხედულებაც, რომელიც „სტატიკურ ზმნებში“ აერთიანებს ე. წ. სტატიკურ ვნებითებსა და საშუალი გვარის ზმნებს: სტატიკურია ყველა ის ზმნა, რომელიც დინამიკურს უპირისპირდება — სტატიკური არ შეიძლება უღრიდეს ვნებითს, რადგან გვარი უფრო გვიან ჩამოყალიბებული კატეგორიაა, ვიდრე დინამიკურობა და სტატიკურობა. თავდაპირველად სახელისა და ზმნისათვის საერთო ნეიტრალური ფუძე (მაგ., წით-) გაიმიჯნა; ერთი მხრივ, სახელის ფორმანტების დართვით სახელის ფუძედ გაფორმდა (წით-ელ), მეორე მხრივ, სახელსგან გამოყოფილმა ზმნამ (წით-ს) თანდათან იწყო ზმნური კატეგორიების ჩამოყალიბება და შესაბამისი აფიქსებმა გაჩენა. პირველი, რაც ზმნაში გაიჩნა, ეს იყო დინამიკურობა და სტატიკურობა. ე. ი. ზმნები განახვადნენ იმის მი-

⁷ ა. შანიძე, დსახ. ნაშრ., 321, 52E.

⁸ იქვე, გვ. 321—323.

ხედვით, გულისხმობდნენ მოქმედებას, მოქმედების პროცესს (ყრის, აფენს) თუ მდგომარეობას (ყრია, აფენია). შემდეგ თანდათან იქმნება სხვა კატეგორიებიც ზმნისა, მაგრამ ისინი სტატიკურსა და დინამიკურ ზმნებს თანაბრად როლი უყალიბდება. კერძოდ, დინამიკური ზმნები მეტ უნარს იჩენენ ამ მხრივ, სტატიკური კი თავისი შინა-აზრის გამო შესწუდილნი არიან. ამიტომ მათ სრულყოფილად ვერ განვიითარებს ვერც ასპექტის კატეგორია და ვერც დროისა (სრული ასპექტისა არ შეიძლება იყოს სტატიკური ზმნა), ვერ ჩამოიყალიბეს გარდამავლობა, გვარი, ასპექტი, კუთხატივი...

ამ თვალსაზრისს სავსებით უჭერს მხარს აფხაზურში არსებული ვითარება, სადაც „მკვეთრად უპირისპირდება ერთმანეთს სტატიკური და დინამიკური ზმნები“⁹.

ბ. ჯორბენაძე სტატიკურ ზმნებს აერთიანებს ზმნათა იმ ჯგუფში, რომელსაც ვნებობისა და მოქმედებითს გვერდით ცალკე გამოყოფს და პირობითად „საშუალო გვარს“ უწოდებს...¹⁰

ამ უძველესი ფორმაციის ზმნებმა ბევრ რამეში ძველი ვითარება შემოგვინახა.

თუმცა ქვეყნის კატეგორია სტატიკურ ზმნებში სრულად ვერ ჩამოყალიბდა, მაგრამ ფაქტია, რომ ენაში გვაქვს წყვილი ფორმები: **დგას — უდგას, ყრია — უყრია, აკლია — უკლია...** სადაც კუთვნილებითი ურთიერთობა ასე თუ ისე ასახულია.

ამის ასახნვლად მ. სუხიშვილი ორ შესაძლებლობას უწევს:

1) შეიძლება კუთვნილებითი ურთიერთობის გამოხატვა სტატიკურ ზმნებში მეორეული იყოს, მიღებული იმ სისტემისაგან, სადაც **ი-/უ-აფიქსი** სივრცეში მიმართებას ასახავდა. მისი აზრით, ქცევა სტატიკურ ზმნებში შემდეგი სამი სახის შეპირისპირებით წარმოიღვინებოდა: ნეიტრალური (დგას, ძეს), საზედაო (ადგს, აძს→აც = „ზედ ადგია, ზედ აქვს“) და **ი-/უ-თავსართიანი** (უდგს, უძს→უც = „გვერდით უდგას, წინ უდგას“). **ი-/უ-პრეფიქსიანი** ფორმებიც სივრცეში განლაგებას გამოხატავდა, მაგრამ მოხდა მნიშვნელობის გადაწევა და ამ ფორმებმა კუთვნილებითი ურთიერთობის შინაარსი მიიღო: **მიდგს = მყავს, მიც = მაქვს**. ამ გადაწევამ გამოიწვია სიატემის მოშლა და უკვე **ი-/უ-პრეფიქსიანი** ფორმა სივრცეში განლაგებას კი არ გადმოსცემა, არამედ კუთვნილებით ურთიერთობას გამოხატავს (მიდგს = ჩემი დგას, მიც = ჩემი ძევს); 2) შეიძლება ეს ძველი სის-

⁹ ქ. ლომთათიძე, სტატიკური და დინამიკური ზმნები აფხაზურში; იკვ, VI, გვ. 257—271.

¹⁰ ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები, თბ., 1975, გვ. 33.

ტემის რეინტერპრეტაცია კი არა, ახალი სისტემის ჩამოყალიბების ფაქტი იყოს¹¹.

და მაინც, კონკრეტულად ჩვენთვის საინტერესო საკითხის შე-
სახებ: **უკლია თუ აკლია?** რომელია მართებული თანამედროვე სა-
ლიტერატურო ენის თვალსაზრისით?

უკლია ქეგლ-ში კვალიფიცირებულია, როგორც სტატიკური ზმნა, ობიექტური ქცევა **აკლია** ზმნისა. ნიშნავს: მისთვის აკლია, მისას, მის საკუთარს აკლია.

მ. სუხიშვილი განხილავს, რომ ქცევა სტატიკურ ზმნებს „ოდენ ობიექტური აქვთ, ირიბი ობიექტსავენი მიმართული“¹². ინვერსიული ზმნა **აკლია**, მისი აზრით, უქცეო ზმნად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან ქცევის საოპოზიციო ცალები მას არ გააჩნია (უროთიერთობა გამოხატულია, გვაქვს ნიშანიც — შეპირისპირებული ფორმა კი არ უნახს).

ა. შანიძე ყოველგვარ გარდაუვალ ზმნებში უდავოდ მიიჩნევს ორ ფორმას — საარვისოსა და სასხვისოს. მაგ.: დონიან ენებითში: **გატუდა — გაუტუდა**; სტატიკურში: **წერია — უწერია**; საშუალში: **გორავს — უგორავს**; პრეფიქსიან ენებითში გვარის ნიშნებს (ი-, ე-): **იწერება — ეწერება**¹³.

ბ. ჭორბენაძეს მიაჩნია, რომ კუთვნილების გადმოცემა არაა **უ-**საერთადერთი ფუნქცია. ძირითადი და არსებითი მისთვის არის კონტექსტში ობიექტის პოვნეირებაზე მითითება (**უ-**ზოგჯერ ისეთ ფორმებთან იხმარება, რომელიც საერთოდ არ გამოხატავს კუთვნილებით უროთიერთობას: უაღერსებს, უკირკიტებს, უბღვვრის... ზოგჯერ კი სხვა სემანტიკასაც იკუთვს: გადაურბენს — გადაირბენს მის წინ). ამიტომაცაა, რომ ის თავისუფლად ენაცვლება **ა-** და **ე-** პრეფიქსებს, რომლებიც ისევე ირიბი ობიექტის პოვნეირებასთან არიან დაკავშირებული (მი-ა-წოდება — გა-უ-წოდებს, ა-ტოლებს — უ-ტოლებს, გა-ე-ხარდა — გა-უ-ხარდა, ა-კლია — უ-კლია...) ¹⁴.

ასეა თუ ისე, ეჭვს არ იწვევს, რომ **უკლია** დღევანდელ ქართულ ენაში გაიგება, როგორც სასხვისო ქცევა **აკლია** ზმნისა. ნას შეუძლია გამოხატოს მიმართება სუბიექტსა და ობიექტს შორის. მაგრამ როდის, რა შემთხვევაში?

11 მ. სუხიშვილი, სტატიკური ზმნები ქართულში, თბ., 1976, გვ. 45.

12 ი. ქეგ, გვ. 129.

13 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 339—342.

14 ბ. ჭორბენაძე, ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბ., 1983, გვ. 175

აკლია ორპირიანი ფორმის მართებულობა არავითარ ეჭვს არ იწვევს იმ მრავალრიცხოვან შემთხვევებში, რომლებიც მოხმობილი იყო ლიტერატურული მასალიდან (ცბილი აკლია, ჯანი აკლია, წიგნები აკლია, სმა აკლია, ეშმაკობა აკლია, ჭირი არ აკლია, შუქი აკლია, წყალი აკლია...).

ვფიქრობთ, ყურადღების ღირსია ის ფაქტიც, რომ **აკლია** — უკლია ფორმათა განაწილებისას გარკვეული როლი ენიჭება. გრამ. S-ის ლექსიკურ მნიშვნელობას, ე. ი. სემანტიკურ ფაქტორს ასე, მაგ.: მხოლოდ **აკლია** იხმარება და არ შეიძლება **უკლია** ვიხმაროთ შემდეგ სიტყვებთან: აკლია ყურადღება, თანაგრძნობა, სისარული, სიცოცხლე, სიყვარული, სიბო, ნუგეში, წყალობა, მწვენიერება, სურნელება, ჭკუა, წინდახედულება, სიმტკიცე, სიმაგრე, მოქნილობა, ელასტიკურობა, სისრულე, გამჭვირვალობა, ფერი... მოხარშვა, შეწვა, მარილი, წყალი, საკვები, საჭნელი, გემო... ფეხი, ხელი, თვალი (= ორიდან ერთი არა აქვს), უპირატესად „არ“ ნაწილაკთან: გაჭირვება, დარიგება, ჭირი, ცემა, მოფერება... ფიგურალურ გამოთქმებში: **თვალ**, **ყურ**, **გულ**... სიტყვებთან, უარყოფით და კითხვით სიტყვებთან: **რა**, **ის-და**, **აღარავინ**, **შენ-და**, **არაფერი**, **აღარაფერი**...

უკლია ფორმა კი უპირატესად იხმარება ისეთ შემთხვევაში, როცა გრამ. S დროის ან რაოდენობის აღმნიშვნელი სიტყვაა: ორი დღე უკლდა, ცოტა-და უკლდა, ორი ნაბიჯი-და უკლდა, ჩვიდმეტი დღე უკლდა... ასევე, როცა გრამ. S-ად კითხვითი სიტყვები ან უარყოფითი ნაწილაკებია: რაღა უკლია, აღარაფერი უკლია, რა უკლია.

უკლია ფორმის მართებულობა გვაეჭვებს ხოლმე ასეთ შემთხვევებში: ცხრას ხუთი წუთი **უკლია**, ცხრას ხუთი წუთი **აკლია**.

უკლია-ში სასხვისო ქცევის გააზრება-გამართლება აქ შეიძლება კიდევ გაჭირდეს, რადგან საპირობად აუცილებელი კუთვნილებითი ურთიერთობა არ ჩანს.

მაგრამ გვაქვს შემთხვევები (თუმც არცთუ ისე ბევრი), სადაც **უკლია**, **გიკლია**, **მიკლია** უყოყმანოდ შეიძლება გამოვიყენოთ. ეს ისეთი შემთხვევებია, როცა **უკლია** ზმნას სამი სახელი შეეწყობა — სუბიექტი და ორი ობიექტი.

შევადართო შემდეგი წინადადებები:

1) ოც წელს ორი თვე **აკლდა**.

აკლდა ორპირიანი ზმნაა — **აკლდა** მას ის — და ნიშნავს: ოცი წლის შესრულებამდე (გასვლამდე) ორი თვე იყო დარჩენილი. ზმნას ორი სახელი ეწყობა: სუბიექტი და ობიექტი. საარვისო ქცევას ფორმა გამართლებულია.

2) წასვლას ორი დღე **მიკლდა**.

ნიშნავს: ჩემს წასვლამდე ორი დღე იყო დარჩენილი, ორი დღე კიდევ უნდა გასულიყო. აქ **მიკლდა** (მე მას ის) სამპირიანია.

ასევე, წინადადებაში: ათ თუმანს მანეთი **აკლია** — ორპირიანი ზმნა გვაქვს (აკლია მას ის), მაგრამ: ათ თუმანს მანეთი **მიკლია** — აქ სამპირიანია ზმნა (მიკლია მე მას ის).

შესამე პირის გაჩენამ **ო-/უ-** პრეფიქსითა ხმარება მიითხოვა.

გავაანალიზოთ ზემომოყვანილი ილუსტრაციები ლიტერატურრიდან:

ვატობ, რომ ცოტა-ღა მიკლია სრულად გაყმწვილებასა (გრ. ორბ.).

აქ ზმნა სამპირიანია: მე მას ის მიკლია, გრამატიკული სუბიექტია „ცოტა-ღა“, „შე“ და „გაყმწვილებას“ ირიბი ობიექტებია.

ცოტა უკლია საწყალს სულის ამოსვლას („ლეღმაჟ.“).

აქაც უკლია სამპირიანია: უკლია მას ის მას.

მეორე-ღა უკლდა ხორცთაგან სულის გაყრასა („ყარამ.“). = უკლდა მას ის მას.

სასახლე ისე შესძრა, რომ დაქცევას ცოტა უკლდა („ყარამ.“); შიშით გულის გახეთქვას ცოტა-ღა უკლდა („ყარამ.“). = მას მას ის უკლდა.

— ორასს რამდენი გიკლია? — ექვსი (გ. სორნ.). = გიკლია შენ მას ის.

ბრაზმორეულს ცოტა-ღა უკლდა ატირებას (გ. ბუთხ.). = უკლდა მას ის მას.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ძველ ქართულში გაბატონებული იყო ორპირიანი ზმნა **აკლია**. შემდეგ თანდათან მეორე ირიბი ობიექტი გაუჩნდა მას, რამაც უკლია ფორმის ხმარება გახადა საჭირო.

ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი ფაქტი: ზოგჯერ მესამე ობიექტური პირის ნაცვლად ფიგურირებს (-მდე) თანდებულობის სახელი:

ორიოდე უტევანი უკლდათ ფარავნამდის (კ. ვაშს.) = მათ მას ის უკლდათ (იქამდე, იქამდე). (შდრ.: გამარჯვება ერთი ნაბიჯი მიკლდა).

დაბადებამდე რამდენი მიკლდა, ითელიდა ჩემი პაწია გული (მ. ნიშნ.) — ის მიკლდა იმას, იქამდე, იქამდე.

ასეთივე შემთხვევაა შემდეგ წინადადებაშიც:

შენი მათობა ძალიან მიამა, ორი ნაბიჯი-ღა გიკლია ჩენამდის (გრ. ორბ.). = გიკლია შენ ის ჩემამდის (შდრ.: ორი ნაბიჯი-ღა გიკლია მათობას = გიკლია შენ მას ის).

ამ მაგალითებში მეორე ობიექტი ქვეშეცნეულად თითქოს ასე გაიგება:

ორიოდე უტევანი უკლდათ ფარავნამდის მისვლას; ორი ნაბიჯი-ღა გიკლია ჩემამდის მოღწევას; რამდენი მიკლია მე დაბადებას...

ასევე, მეორე ობიექტის ქვეშეცნეულად არსებობა შეიძლება განაპირობებდეს მიკლია ფორმის შემდეგ წინადადებაში:

აი, მე ერთი ასვლა მიკლია და სპორტის ოსტატის ნორმას შევსრულებ (თ. შაღლაფ.) = მე ერთი ასვლა მიკლია შესრულებას, შესრულებამდე, რომ შევასრულო.

წინადადებაშიც — ხუთს ათი წუთი უკლია — შესაძლებელია ასევე ქვეშეცნეულად გვეძლოდეს მეორე ობიექტი: ხუთის შესრულებას/შესრულებამდე.

ეგების ანალოგიად გამოგვადგეს ის ფაქტიც, რომ აკლია ზოგჯერ თითქოს ერთბირიან ზმნად აღიქმება: დღეს ხუთი მოსწავლე აკლია. ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი აკლია. ამ შემთხვევაში აკლია ნიშნავს: არ არის, არ ჩანს.

მაგრამ აქაც მეორე პირი, ქვეშეცნეულად (რამდენადმე ბუნდოვნად) არსებული, შეიძლება „აღვადგინოთ“: ხუთი მოსწავლე აკლია მოსწავლეებს, კლასს, გაკვეთილს... ერთი დოკუმენტი აკლია სხვა დოკუმენტებს...

გარდაუვალ ზმნებთან ორი ობიექტის შეწყობის ანალოგიური ფაქტი განხილული აქვს ა. შანიძეს თავის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ (გვ. 343). იგი აღნიშნავს რომ გვხვდება გარდაუვალი ზმნები — ვნებითვებიცა და საშუალებაც — რომლებიც ქცევას მიხედვით სასხვისოა და ორი ობიექტური პირის ვაგებას შეიცავენ. რა თქმა უნდა, ორივე ეს პირი ირიბია. ამ სამ პირს შორის კუთვნილებითი ურთიერთობაა — ან სუბიექტი ეკუთვნის ერთ-ერთ ობიექტს, ან ერთი ობიექტი — მეორეს. მაგ.:

ჩვენს იას არ შეგვიცივდეს (ვაჟა). ან უცოლო ემა გექნებათ, ან გასათხოვარ ქალია, ახლა მე გამოგიყვებით, რომ მოვიშორო ვალია (თ. რაზიკ. — ხალხ. ლექსი). გამოგიყვებით = გამოყვები მე თქვენსას; [თათრებს] მათ სისხლი მიშართებს (ვაჟა) = მართებ მათ ის ჩემი; კამჩს... მომიტყუდა ფეხი; ცოლს არ მიცვია კაბო (ვაჟა). რას მიქვიან ტუბილი სიტყვა (ილია). ამ ვაჟს ხომ არა ვიტყვივით (ვაჟა) = შენ ვაჟს ხომ არ სტყვი რაიმე...

მაშასადამე, პრინციპულად ენაში დასაშვებია გარდაუვალ ზმნებთან ორი ირიბი ობიექტის ხმარება და ამ ფორმის მიერ კუთვნილებითი ურთიერთობის, ე. ი. ქცევის გამოხატვა.

უკლია ფორმაში შესაძლოა გვექნოდეს სტატიკურ ზმნებში ქცევის კატეგორიის ჩამოყალიბების ტენდენციის გაგრძელება-განვითარება.

უკლია გამოწვეულია და ამდენად გამართლებულიც ორი ობიექტის შეწყობით და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება მართებული მისი გამოყენება.

ამდენად, ვფიქრობთ, უფრო სწორია ვიხმართო: ცხრას ხუთი წუთი უკლია.